- საშუალებებით. მკაცრად გაკონტროლდება პერსონალის მიერ პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება;
- ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
- სალექარების პერიმეტრზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და შემოღობვა;
- საზოგადოებრივი გზების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა.

7.13 ზემოქმედება ადგილობრივ სატრანსპორტო პირობებზე

საქმიანობის განხორციელების ადგილი მდებარეობს ცენტრალურ საავტომობილო გზასთან (ზუგდიდი-ნარაზენი-ჭაქვინჯი-ხიბულა-ზუბის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტ. გზა), რომლის საშუალებითაც განხორციელდება ტერიტორიაზე საწარმოს დანადგარ-მექანიზმების და შემდგომ ნედლეულის შემოტანა. ტრანსპორტირების პროცესში საქალაქო ან სოფლის გზების გამოყენება არ იგეგმება (ნედლეულის ტრანსპორტირების სქემა და რეჟიმი აღწერილია პარაგრაფში 4.2.3.). აქვე აღსანიშნავია, რომ ფაქტიური მდგომარეობით საამქროს

დანადგარ-მექანიზმების დიდი ნაწილი უკვე შეტანილია ტერიტორიაზე და მოწყობის ეტაპი მასშტაბურ სატრანსპორტო ოპერაციებს არ უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს წარმადობა არ არის ძალზედ მაღალი და შესაბამისად ნედლეულის ტრანსპორტირება დიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან რეისების შესრულებას არ მოითხოვს. დადებითი გარემოებაა, რომ წარმოებული პროდუქცია (გარეცხილი და დახარისხებული ქვიშა-ხრეში) საზოგადოებრივ გზებზე გადაადგილების გარეშე მიეწოდება მომიჯნავედ არსებულ ასფალტის ქარხანას. შესაბამისად მოქმედი ასფალტის ქარხნისთვის საჭირო ნედლეული დამზადდება ადგილზე, რაც გარკვეულწილად გაამარტივებს და შეაიმიცირებს სატრანსპორტო ოპერაციებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქმიანობის განმახორციელებელი ორივე ეტაპზე გაატარებს შესაბამის შერბილების ღონისძიებებს, რომ საზოგადოებრივ გზებზე დატვირთვა მინიმუმამდე დავიდეს. მათ შორის მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობის განმახორციელებელი გაითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკურ პირობებს (იხ. დანართი 5.).

7.13.1 შერბილების ღონისძიებები

საწარმოს მოწყობის ეტაპზე:

- სატრანსპორტო გადაადგილების აქტიური მართვა პერსონალის მიერ, თუ ეს საჭიროა საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მოსახერხებელი გავლისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება შიდასახელმწიფოებრივი გზიდან საწარმოში სატვირთო ავტომობილების შესვლა-გამოსვლის ოპერაციებს;
- ტრანსპორტირების დროს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებსა და დასახლებებში უსაფრთხო და უწყვეტი დაშვების უზრუნველყოფა.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე:

- სატრანსპორტო გადაადგილების აქტიური მართვა პერსონალის მიერ, თუ ეს საჭიროა საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მოსახერხებელი გავლისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება შიდასახელმწიფოებრივი გზიდან საწარმოში სატვირთო ავტომობილების შესვლა-გამოსვლის ოპერაციებს;
- სატრანსპორტო ოპერაციებისთვის უპირატესობა მიენიჭება ნაკლებად მგრძნობიარე პერიოდს. ნედლეულის საწარმოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება უპირატესად მოხდება 10 სთ-დან 15 სთ-მდე შუალედში;
- ნედლეულის სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვა მოხდება მისი ტევადობის შესაბამისად, იმისთვის რომ ტრანსპორტირების პროცესში ადგილი არ ჰქონდეს საზოგადოებრივი გზების დაბინძურებას ინერტული მასალებით და ამ თვალსაზრისით მინიმუმამდე დავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეფერხების ან ავარიული სიტუაციების რისკები;
- შესრულდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკურ პირობები სატრანსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებით (იხ. დანართი 5), მათ შორის:
 - ტვირთის ტრანსპორტირებისას ღერძებზე დატვირთვა გასცდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას;
 - ქვიშა-ხრეშის მოპოვების სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ, ლიცენზიის მფლობელის მიერ მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე საავტომობილო გზების დეპარტამენტში და მერიაში წარდგენილი იქნება მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად შედგენილი საავტომობილო ტრანსპორტის

შესასვლელის და გამოსასვლელის დეპარტამენტთან წინასწარ შეთანხმებული სქემატური ნახაზი, სადაც საფარის მოწყობა განხორციელდება საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში;

- საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საავტომობილო გზებზე სისუფთავეს, რაც საჭიროების შემთხვევაში გულისხმობს ავტოთვითმცლელის გაწმენდას მტვრისაგან, ჭუჭყისაგან და ტალახისაგან;
- ს/გზაზე გამოსასვლელთან საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საგზაო უსაფრთხოებას, რაც გულისხმობს დროებითი საგზაო ნიშნების მონტაჟს და საჭიროების შემთხვევაში მიაღწის დაყენებას, იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
- ტვირთების გადაზიდვა განხორციელდება საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება, მთელი ტერიტორიის ფარგლებში, საავტომობილო გზის ელემენტების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება;
- სამუშაოების წარმოებისას საგზაო ინფრასტრუქტურის და/ან მიმდებარე ლანდშაფტის ელემენტების დაზიანების შემთხვევაში მოხდება მათი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა საკუთარი ძალებითა და სახსრებით, შ.პ.ს. „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“-ს და სს "EGIS INTERNATIONAL"-ის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე სამუშაოების დასრულების შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელი 1 წლის განმავლობაში წარმოდგენილ მონაკვეთზე გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის წარმოქმნის შემთხვევაში) აღმოფხვრა მოხდება საკუთარი ძალებით და სახსრებით.;
- მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტირება განხორციელდება მარაგადახურული ავტომობილებით.

7.14 ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოსთვის ნედლეული (ქვიშა-ხრემის ბალასტი) შემოტანილი იქნება ლიცენზირებული კარიერებიდან, საიდანაც მოპოვებული ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული იქნება სალიცენზიო პირობებით. საწარმოს წარმადობა არ არის დიდი და გადაამუშავებს წელიწადში მხოლოდ 30 ათას მ³ ინერტულ მასალას. საჭირო ნედლეულის სიმცირიდან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ იქონიებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქვიშა-ხრემის მარაგებზე.

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება ზედაპირული წყალი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ წარმოებაში დანერგილი იქნება ბრუნვითი სისტემა, რაც შეამცირებს აღნიშნული ბუნებრივი რესურსის გამოყენების საჭიროებას.

საქმიანობის განხორციელების შედეგად ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი მნიშვნელობის.

7.15 ავარიული სიტუაციები

დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას. ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებული არ არის ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დიდი რაოდენობით შენახვა. შერჩეული ნაკვეთების მომიჯნავედ არ არის წარმოდგენილი ხშირი ტყით დაფარული ტერიტორიები, სადაც ხანძარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს. საქმიანობის პროცესში მაქსიმალურად დაცული იქნება საწარმოო უსაფრთხოების პირობები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის

რისკები მოსალოდნელი არ არის. დანართში 4. წარმოდგენილია ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

7.16 შესაძლო ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს ზემოქმედების ზონაში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არის აღწერილი. შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს. საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული ტერიტორია მრავალი წლის განმავლობაში გამოიყენებოდა სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის მიზნით, მათ შორის წარსულში ნაკვეთი მუშავდებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. საკუთრივ საქმიანობა მასშტაბურ მიწის სამუშაოებს არ ითვალისწინებს და ხოლო მოწყობის სამუშაოების ნაწილი (ფუნდამენტების მოწყობა) უკვე შესრულებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე არქეოლოგიური ძეგლების გვიანი გამოვლენის ალბათობა მინიმალურია. საერთო ჯამში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და არქეოლოგიურ ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და ამ მხრივ განსაკუთრებული შერბილების ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

7.16.1 შერბილების ღონისძიებები

სამუშაოების შესრულების პროცესში ნებისმიერი უცხო (არქეოლოგიური თვალსაზრისით საეჭვო) ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობა მიმართავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. საქმიანობა განახლდება სააგენტოს თანხმობის შემდგომ.

7.17 კუმულაციური ზემოქმედება

დაგეგმილი სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მიმდებარედ ფუნქციონირებს საგზაო-სამშენებლო მასალების მწარმოებელი რამდენიმე ობიექტი: ასფალტის საწარმო, ბეტონის ხსნარის და ბეტონის ნაკეთობების საწარმო და ანალოგიური ტექნოლოგიური სქემის მქონე ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო. ჩამოთვლილი საწარმოების მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განხილული იყოს შემდეგი სახის კუმულაციური ზემოქმედებები:

- მავნე ნივთიერებების ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- წყლის რესურსებზე ზემოქმედება და წყლის დაბინძურების რისკები;
- სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.

ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი კუმულაციური ეფექტი:

წინამდებარე ანგარიშში წამოდგენილ გაანგარიშებებში (ატმოსფერულ ჰაერში ემისიები, ხმაურის გავრცელება) გათვალისწინებული იქნა არსებული ფონური მდგომარეობა და უახლოეს მოსახლეობაზე ზემოქმედების პროგნოზი გაკეთდა ყველა საწარმოს ერთდროული ფუნქციონირების შემთხვევისთვის. გაანგარიშების შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები და ხმაურის დონეები არ გადააჭარბებს დასაშვებ მნიშვნელობებს. ამასთან ერთად ხაზგასასმელია, რომ ახალი სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს წარმადობა გაცილებით მცირეა მოქმედ ობიექტთან შედარებით, ხოლო მოსახლეობიდან მისი დაშორების

მანძილი, ყველა სხვა ობიექტებთან შედარებით მეტი. აქედან გამომდინარე შპს „საგზაო“-ს დაგეგმილი საწარმოს წილი კუმულაციურ ზემოქმედებაში იქნება მინიმალური.

წყლის რესურსებზე და ხარისხზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება:

რაც შეეხება წყლის რესურსებზე და ხარისხზე ზემოქმედების რისკებს. მოქმედი ობიექტები ნაწილობრივ გამოიყენებენ მიწისქვეშა წყალს. ამ მხრივ აღსანიშნავია შპს „მშენებელი 2020“-ს საწარმო ობიექტი. ამ ობიექტზე საწარმოში ნედლეულის გადამამუშავება ხდება სველი მეთოდით. ობიექტისთვის 2021 წელს მომზადებული გზშ-ს ანგარიშით ირკვევა, რომ საწარმო აღნიშნული მიზნით საათში მოიხმარს 100 ტონა (მ³) წყალს, ანუ: $100 / 3600 = 0,028$ მ³/წმ. თავდაპირველად ტექნიკური წყლის აღება დაგეგმილი იყო შპს „მშენებელი 2020“-ის ჭიდან, თუმცა მოცულობის არასაკმარისობის გამო მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საწარმო მიზნებისთვის წყლის აღება მოხდეს მდინარე ჯუმიდან. საწარმოს სამუშაო რეჟიმის დღეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკისა და წელიწადში 300 სამუშაო დღის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის რაოდენობა არის 240 000 მ³.

დაგეგმილი საწარმოს წყალმომარაგებაც მოხდება მდ. ჯუმიდან. თუმცა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ახალ საწარმოში დანერგილი იქნება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, რაც შეამცირებს როგორც წყლის გამოყენების საჭიროებას. როგორც წინამდებარე გზშ-ს პარაგრაფებში 4.2.5. და 7.6.2. არის მითითებული, შპს „საგზაო“-ს საწარმო ობიექტის მიერ მდინარიდან ასაღები ტექნიკური წყლის რაოდენობა იქნება მაქსიმუმ 6 მ³/სთ, ანუ 0,0017 მ³/წმ. ტექნიკური წყლის წლიური ხარჯი კი უდრის 12 000 მ³-ს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ქვემოთ, ცხრილში 7.17.1. წარმოდგენილია მონაცემები აღნიშნული ობიექტების მიერ მდ. ჯუმიდან აღებული წყლის შესახებ.

ცხრილი 7.17.1. მონაცემები შპს „მშენებელი 2020“-ის და შპს „საგზაო“-ს ობიექტების მიერ მდ. ჯუმიდან აღებული წყლის შესახებ.

	წყლის ხარჯი		
	მ ³ /წმ	მ ³ /სთ	მ ³ /წელ
შპს „მშენებელი 2020“-ის საწარმო ობიექტი	0,028	100,0	240 000
შპს „საგზაო“-ს საწარმო ობიექტი	0,0017	6,0	12 000
ჯამი	0,0297	106	252 000
წყალაღების მატება შპს „საგზაო“-ს საწარმო ობიექტის ამოქმედების შემდგომ, %-ში	6,1	6,0	5,0

როგორც ცხრილიდან ჩანს შპს „საგზაო“-ს საწარმო ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ მდ. ჯუმიდან მაქსიმალური წყალაღებზე გაიზრდება დაახლოებით 6%-ით, ხოლო საშუალო წლიური ზრდა მხოლოდ 5% იქნება. ჯამური წყალაღება იქნება 0,0297 მ³/წმ, რაც მდ. ჯუმის ბუნებრივ მინიმალურ ხარჯებზე მინიმუმ 15-20-ჯერ ნაკლები იქნება.

საერთო ჯამში, ახალი სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ექსპლუატაცია მდ. ჯუმის ჰიდროლოგიურ პირობებზე მინიმალურ დამატებით ზემოქმედებას იქონიებს და განსაკუთრებით მაღალი და შეუქცევადი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ საწარმოში დანერგილი ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა მდ. ჯუმის წყლის ხარისხზე ზემოქმედების არსებულ მნიშვნელობას (ნორმალურ საექსპლუატაციო პირობებში) პრაქტიკულად არ შეცვლის. წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე კუმულაციური ეფექტი კიდევ უფრო ნაკლებად მოსალოდნელია. მიუხედავად ამისა, შპს „საგზაო“ ზედმიწევნით გაატარებს წინამდებარე გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებულ შერბილების ღონისძიებებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის სათანადო ექსპლუატაციას და ნარჩენების მართვას.

სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება:

გასათვალისწინებელია დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის დადებითი კუმულაციური ეფექტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის და ზოგადად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე. ამ მხრივ ხაზგასასმელია, რომ დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა დაახლოებით 50 კაცს შეადგენს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი თანხები სხვადასხვა გადასახადების სახით. ობიექტების წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი რეგიონში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება. საერთო ჯამში დადებითი კუმულაციური ეფექტი იქნება საკმაოდ მნიშვნელოვანი და ამიტომ მიღებული სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი გაცილებით აჭარბებს, საწარმოების კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობას გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე.

კუმულაციური ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე:

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის მიმდებარე არეალში არსებული საწარმოო ობიექტები გარკვეულ გავლენას ახდენენ ზუგდიდი-ნარაზენი-ჭაქვიჩი-ხიბულა-ზუბის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტ. გზაზე სატრანსპორტო გადაადგილების ინტენსივობაზე. ეს გავლენა დაკავშირებულია საწარმოო ობიექტების ტერიტორიაზე სატვირთო მანქანებით ნედლეულის ტრანსპორტირებასა და შემდგომ წარმოებული პროდუქციის საწარმოო ტერიტორიიდან გატანასთან. არსებული მდგომარეობით დღის განმავლობაში საშუალოდ სრულდება 40-50 მანქანა/რეისი.

შპს „საგზაო“-ს ახალი საწარმოო ობიექტის ამოქმედების შემდგომ, სატრანსპორტო ნაკადებზე და საგზაო ინფრასტრუქტურაზე სამური ზემოქმედების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ არსებული მდგომარეობა და შემდგომ მოსალოდნელი პირობები.

დღეისათვის შპს „ვესტ ჯორჯია“-ს კუთვნილი ასფალტის ქარხნის ნედლეულით მომარაგებისთვის (ინერტული მასალა, ბიტუმი და სხვა) დღის განმავლობაში სრულდება დაახლოებით 14-16 მანქანა/რეისი. აღსანიშნავია, რომ შპს „ვესტ ჯორჯია“-სა და შპს „მშენებელი 2020“-ს შორის ვერ იქნა მიღწეული სათანადო გარიგება ინერტული მასალებით მომარაგებასთან დაკავშირებით, რაც რეგიონში საგზაო სამშენებლო მასალებზე მაღალ მოთხოვნილებას უკავშირდება. ამიტომ შპს „ვესტ ჯორჯია“ იძულებულია ინერტული მასალების საწარმოო ტერიტორიაზე შემოტანა განხორციელოს შორი მანძილიდან. ხშირად ქვიშა-ხრემის შემოტანა ხდება სხვა რეგიონებიდან. ტრანსპორტირების დროს გამოყენებულია ზუგდიდი-ნარაზენი-ჭაქვიჩი-ხიბულა-ზუბის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტ. გზა.

შპს „საგზაო“-ს საწარმოო ობიექტის ამოქმედების შემდგომ შპს „ვესტ ჯორჯია“ შეძლებს თავისი ასფალტის ქარხანა ინერტული მასალებით მოამარაგოს მიმდებარედ არსებული ობიექტის მეშვეობით, საზოგადოებრივი გზების გამოყენების გარეშე. შესაბამისად მისი ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა დაახლოებით 80-90%-ით შემცირდება. მეორეს მხრივ, დაახლოებით ამდენივედ გაიზრდება სატრანსპორტო ოპერაციები ახალი საწარმოს ტერიტორიაზე კარიერებიდან ინერტული მასალების შემოტანისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „საგზაო“-ს საწარმოო ობიექტის ამოქმედების შემდგომ, რომელიც მცირე წარმადობისაა და მისი დანიშნულება მიმდებარედ არსებული ასფალტის ქარხნის ნედლეულით მომარაგებაა, სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობა პრაქტიკულად არ შეიცვლება. განსახილველი ობიექტის სატრანსპორტო ოპერაციები პრაქტიკულად სრულად ჩაანაცვლებს არსებული ასფალტის ქარხნისთვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციებს. კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობის ზრდა მოსალოდნელი არ არის.

7.18 ნარჩენი ზემოქმედება

წინა პარაგრაფებში წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ არცერთი სახის ნარჩენი ზემოქმედება არ იქნება საშუალო ან მაღალი მნიშვნელობის. დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები იქნება ეფექტური და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების აუცილებლობა არ არსებობს.

7.19 გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შემაჯამებელი ცხრილი

ზემოქმედების კატეგორია	მოწყობის ეტაპი/ ექსპლ. ეტაპი	ზემოქმედების მიმართულება ¹	ზემოქმედების გეოგრაფიული გავრცელება ²	ზემოქმედების საწყისი სიდიდე ³	ზემოქმედების ხანგრძლივობა ⁴	ზემოქმედების რევერსულობა (შექცევადობა) ⁵	შერბილების ეფექტურობა ⁶	ზემოქმედების საბოლოო რეიტინგი ⁷
ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	მოსალოდნელი არ არის							
ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	მოსალოდნელი არ არის							
ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი ან უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	საშუალო	დაბალი
ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	საშუალო	დაბალი ან უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	საშუალო	დაბალი
ზემოქმედება ნიადაგზე/გრუნტზე, დაბინძურების რისკები	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი ან უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი ან უმნიშვნელო
ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, საშიში ჰიდროლოგიური მოვლენები	მოსალოდნელი არ არის							
წყლის გარემოზე ზემოქმედება	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი ან უმნიშვნელო

¹დადებითი/ნეგატიური

²ლოკალური/რეგიონალური/ქვეყნის მასშტაბით

³დაბალი/საშუალო/მაღალი

⁴მოკლევადიანი/გრძელვადიანი

⁵შექცევადი/შეუქცევადი

⁶დაბალი/საშუალო/მაღალი

⁷დაბალი/საშუალო/მაღალი

	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი
ნარჩენები	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	საშუალო	დაბალი
ზდმოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	უმნიშვნელო
ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	უმნიშვნელო
სოციალურ-ეკონომიკური გარემო:								
• ზემოქმედება კერძო საკუთრებ.	მოსალოდნელია არ არის							
• დასაქმება	მოწყობის-ექსპლუატაციის ეტაპი	დადებითი	ლოკალური ან რეგიონალური	დაბალი	გრძელვადიანი	-	-	-
• ადამიანის უსაფრთხოება/ჯანმრთელობა	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი-საშუალო	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	დაბალი-საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი
• ზემოქმედება სატრანსპორტო პირობებზე	მოწყობის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	მოკლევადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი ან უმნიშვნელო
	ექსპლუატაციის ეტაპი	ნეგატიური	ლოკალური	საშუალო	გრძელვადიანი	შექცევადი	დაბალი	დაბალი
ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებზე ზემოქმედების რისკები	მოსალოდნელი არ არის							

8 გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები

8.1 შესავალი

გზმ-ს ანგარიშის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა (გმგ), ასევე ცნობილია როგორც ზემოქმედებების მართვის გეგმა. გეგმის მიზანია გზმ-ს პროცედურის ფარგლებში გამოვლენილი ზემოქმედებების შერბილების და მონიტორინგის ღონისძიებების შემუშავება, რომელიც პრაქტიკაში უნდა გამოიყენოს პროექტის განმახორციელებელმა, კერძოდ შპს „საგზაო -მ. გმგ-ს მაკონტროლებელი ორგანო ასევე იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გმგ-ს პრაქტიკაში გამოყენებით საქმიანობა შესაბამისობაში იქნება მოყვანილი ეროვნული კანონმდებლობის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან.

მოცემული გმგ ეფუძნება წინა პარაგრაფებში წარმოდგენილ ინფორმაციას, კერძოდ: საქმიანობის სპეციფიკას და სამუშაო არეალის გარემოს ფონურ მახასიათებლებს. საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების სახეებს და შესაძლო გავრცელების არეალს.

გმგ-ში განსახორციელებელი შერბილების ღონისძიებები გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების და ამ სამუშაოების დროს მოსალოდნელი ზემოქმედებების შესაბამისად. მითითებულია შესასრულებელი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების ვადები.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოყვანილია საქმიანობის განხორციელების პროცესში გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები. შერბილების ღონისძიებები ძირითადად მიმართული იქნება ატმოსფერულ ჰაერში ემისიების, ხმაურის გავრცელების, წყლის/ნიადაგის დაბინძურების რისკების შემცირებისკენ. ასეთი სახის ზემოქმედებები მეტწილად დამახასიათებელია ექსპლუატაციის ეტაპისთვის.

8.2 საწარმოს მოწყობის ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები

მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედება	შერბილების ღონისძიება	შესრულების ვადები
ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიები	<ul style="list-style-type: none"> - გაკონტროლდება გამოყენებული მანქანების და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა - ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში ყველა სამშენებლო მანქანა, დანადგარი და მანქანა – მექანიზმი იმუშავებს შესაბამისი სტანდარტებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად; - შეიზღუდება მანქანა-დანადგარების ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაცია; - მაქსიმალურად შეიზღუდება მასალების სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოტვირთვის სიმაღლეები. 	სისტემატურად,
	<ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ოპერაციები და საამქროს მოწყობის სამუშაოები შესრულდება მხოლოდ ოფიციალურ სამუშაო დღეებში დილის 7 საათიდან 18 საათამდე; - შეიზღუდება მოძრაობის სიჩქარეები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს გადაადგილებისას - გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე იქნება 45 კმ / სთ; 	ინტენსიური სამუშაოებისას, განსაკუთრებით სატრანსპორტო ოპერაციების დროს
	<ul style="list-style-type: none"> - მაქსიმალურად შეიზღუდება მასალების სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოტვირთვის სიმაღლეები. 	ტერიტორიაზე საამქროს შემადგენელი კონსტრუქციების შემოტანისას და დასაწყობებისას
ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> - გაკონტროლდება გამოყენებული მანქანების და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობა - ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში ყველა სამშენებლო მანქანა, დანადგარი და მანქანა – მექანიზმი იმუშავებს შესაბამისი სტანდარტებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად; თუ გამოვლინდება სამშენებლო მანქანის ან ტექნიკის გაუმართაობა, ის აღმოიფხვრება დაუყოვნებლივ, აღჭურვილობისგან ხმაურის და ვიბრაციის შემცირების მიზნით. - შეიზღუდება მანქანა-დანადგარების ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაცია; - სატრანსპორტო ოპერაციები და საამქროს მოწყობის სამუშაოები შესრულდება მხოლოდ ოფიციალურ სამუშაო დღეებში დილის 7 საათიდან 18:00 საათამდე; - შეიზღუდება მოძრაობის სიჩქარეები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს გადაადგილებისას - გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე იქნება 45 კმ / სთ; - მაქსიმალურად შეიზღუდება მასალების სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოტვირთვის სიმაღლეები; - 	სისტემატურად,
	<ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ოპერაციები და საამქროს მოწყობის სამუშაოები შესრულდება მხოლოდ ოფიციალურ სამუშაო დღეებში დილის 7 საათიდან 18:00 საათამდე; 	ინტენსიური სამუშაოებისას,

	<ul style="list-style-type: none"> - შეიზღუდება მოძრაობის სიჩქარეები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს გადაადგილებისას - გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე იქნება 45 კმ / სთ; 	<p>განსაკუთრებით სატრანსპორტო ოპერაციების დროს</p>
	<ul style="list-style-type: none"> - მაქსიმალურად შეიზღუდება მასალების სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოტვირთვის სიმაღლეები; 	<p>ტერიტორიაზე საამქროს შემადგენელი კონსტრუქციების შემოტანისას და დასაწყობებისას</p>
<p>ზემოქმედება ნიადაგის/ გრუნტის ხარისხსა და სტაბილურობაზე, გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ზედმიწევნით შემოწმდება ყველა ის სამშენებლო ტექნიკის და დანადგარ-მექანიზმის მდგომარეობა, რომელიც გამოყენებული იქნება შესასრულებელი სამუშაოებისთვის. ტექნიკიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჟონვის ნებისმიერ რისკის შემთხვევაში სამუშაოები დაუყოვნებლივ შეჩერდება და მიღებული იქნება შესაბამისი ზომები: ტექნიკა შეიცვლება ან სრულად აღმოიფხვრება ასეთი რისკები; - ნიადაგის, გრუნტის, გრუნტის წყლების დაბინძურების პრევენციულ ღონისძიებებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სალექარის მოწყობის ეტაპზე (მიწის და ბეტონის სამუშაოებისას). სამუშაოები შესრულდება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, უნაღვე პერიოდში. სალექარის მოწყობის შემდგომ მიმდებარე პერიმეტრი დასუფთავდება. ბეტონით შემთხვევით დაბინძურებული ტერიტორიები გაიწმინდება; 	<p>სისტემატურად, სამუშაოების მიმდინარეობისას</p> <p>სალექარის მოწყობის ეტაპზე</p>
<p>ზემოქმედება გეოლოგიურ პირობებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - დაწესდება კონტროლი შერჩეული ნაკვეთის ცალკეულ უბნებში დაჭაობების ან ეროზიის განვითარების საკითხებზე. პრობლემის დაფიქსირებისთანავე მოხდება დროული რეაგირება და გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებები (მაგ. ღორღის დამატებითი ფენის შემოტანა და ტერიტორიის ზედაპირის სათანადო ნიველირება, რომ სანიაღვრე წყლები ორგანიზებულად გაყვანილი იყოს ტერიტორიიდან; - დაზიანებული უბნების აღდგენა მოხდება გრუნტის დამატებითი ფენის შემოტანის და დატკეპვის გზით). 	<p>სისტემატურად,, განსაკუთრებით წვიმიანი ამინდების შემდგომ</p> <p>საჭიროების შემთხვევაში</p>
<p>ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკურად გამართული სამშენებლო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება; - ნებისმიერი სახის ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების აკრძალვა - სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება შპს „ვესტ ჯორჯია“-ს სასენიზაციო რეზერვუარები; - ნარჩენების სათანადო მართვა; - ზედმიწევნით შემოწმდება ყველა ის სამშენებლო ტექნიკის და დანადგარ-მექანიზმის მდგომარეობა, რომელიც გამოყენებული იქნება შესასრულებელი სამუშაოებისთვის. ტექნიკიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ჟონვის ნებისმიერ რისკის შემთხვევაში სამუშაოები დაუყოვნებლივ შეჩერდება და მიღებული იქნება შესაბამისი ზომები: ტექნიკა შეიცვლება ან სრულად აღმოიფხვრება ასეთი რისკები; 	<p>სისტემატურად,</p>

	<ul style="list-style-type: none"> – საწარმოში განთავსებული იქნება დაღვრის გაწმენდისთვის განკუთვნილი მასალა (მაგ., მშთანთქველი ქვესადებები და ა.შ.), ისეთ ადგილებში, სადაც შეიძლება ადგილი ქონდეს შემთხვევით დაღვრას; – მაქსიმალურად აღდგება სანიტარული პირობები. ზედმეტი მასალა და ნარჩენები გატანილი იქნება ტერიტორიიდან. შემთხვევით დაბინძურებული უბნები გაიწმინდება. 	<p>სამუშაოების საწყის ეტაპზე</p> <p>მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდგომ</p>
ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება	<ul style="list-style-type: none"> – ნარჩენები რეგულარულად იქნება გატანილი საშენებლო მოედნებიდან; – სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები განთავსდება ცალ-ცალკე, შესაბამისი წარწერის მქონე კონტეინერებში; – მოხდება ნარჩენების შეძლებისდაგვარად ხელმეორედ გამოყენება; – სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას; – ტერიტორიები დასუფთავდება და გატანილი იქნება ყველა მასალა და ნარჩენი. 	<p>რეგულარულად, ნარჩენების მართვის პროცესში</p> <p>სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები</p>
ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	<ul style="list-style-type: none"> – სამუშაო ზონის საზღვრების დაცვა; – გარემოს დაბინძურების პრევენციული, ნიადაგის და წყლის ხარისხის შენარჩუნების ღონისძიებების გატარება; – სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მარშრუტების დაცვა; – ორმოები, თხრილები, ტრანშეები და მსგავსი ელემენტების შემოღობვა ბარიერებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათში ცხოველების ჩავარდნა; – ორმოებში და თხრილებში ფიცრების ჩადება შიგ ჩავარდნილი ცხოველებისთვის ადვილად თავის დასაღწევად. 	<p>სისტემატურად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე</p> <p>სატრანსპორტო ოპერაციებისას</p> <p>სალექარის მოწყობის ეტაპზე</p>
ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება	<ul style="list-style-type: none"> – ნარჩენების სათანადო მართვა; – მასალების და ნარჩენების განთავსება მოსახლეობისთვის შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველ ადგილებში; – ღამის საათებში მიმართული სინათლის მინიმალური გამოყენება. 	<p>სისტემატურად, განსაკუთრებით ნარჩენების მართვის პროცესში</p>
ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	<ul style="list-style-type: none"> – პერსონალი აღიჭურვება პირადი დაცვის საშუალებებით; – გაკონტროლდება ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობა. გამოყენებამდე დათვალიერდება დანადგარები, მათი უსაფრთხო მდგომარეობაში არსებობის დადასტურებისთვის; – ჯანმრთელობისთვის სახიფათო უბნებზე დაყენდება გამაფრთხილებელი ნიშნები, საჭიროების შემთხვევაში მოხდება ასეთი უბნების შემოღობვა. 	<p>საწარმოს მოწყობის საწყის ეტაპებზე</p>
ზემოქმედება სატრანსპორტო პირობებზე	<ul style="list-style-type: none"> – სატრანსპორტო გადაადგილების აქტიური მართვა პერსონალის მიერ, თუ ეს საჭიროა საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მოსახერხებელი გავლისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება შიდასახელმწიფოებრივი გზიდან საწარმოში სატვირთო ავტომობილების შესვლა-გამოსვლის ოპერაციებს; 	<p>სატრანსპორტო ოპერაციებისას</p>

	– ტრანსპორტირების დროს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებსა და დასახლებებში უსაფრთხო და უწყვეტი დაშვების უზრუნველყოფა.	
უხილავი არქეოლოგიური ობიექტების შემთხვევითი დაზიანება	– სამუშაოების შესრულების პროცესში ნებისმიერი უცხო (არქეოლოგიური თვალსაზრისით საეჭვო) ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობა მიმართავს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. საქმიანობა განახლდება სააგენტოს თანხმობის შემდგომ.	ნებისმიერი უცხო ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში

8.3 საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები

ნეგატიური ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	შესრულების ვადები
ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელება	– დასაქმებული პერსონალის ტრეინინგები ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებზე;	სამუშაოების დაწყებამდე
	– ტექნიკურად გამართული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა და გამოყენება;	სამუშაოების დაწყებამდე და ყოველდღიურად.
	<ul style="list-style-type: none"> – მანქანების ძრავების შეძლებისდაგვარად მინიმალურ ბრუნზე მუშაობა ან ჩაქრობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება; – მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვისას მტვრის ჭარბიემისის თავიდან ასაცილებლად სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა-გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა); – სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და მუშაობის ეფექტურობის მონიტორინგი; – სამინისტროსთან შეთანხმებული ჰაერდაცვითი დოკუმენტაციის ნორმების დაცვა. 	სისტემატურად,
	<ul style="list-style-type: none"> – ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური პერიოდის შერჩევა და სიჩქარის დაცვა: სატრანსპორტო ოპერაციები შესრულდება მხოლოდ ოფიციალურ სამუშაო დღეებში დილის 7 საათიდან 18 საათამდე, გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე იქნება 45 კმ / სთ; – საზოგადოებრივი გზებით სარგებლობის მაქსიმალურად შეზღუდვა, საჭიროების შემთხვევაში (პიკის საათებში ან სხვა გადაუდებელ სიტუაციებში) ალტერნატიული მარშრუტების მოძიება-გამოყენება. 	განსაკუთრებით ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციებისას
ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	– ტექნიკურად გამართული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა და გამოყენება;	სამუშაოების დაწყებამდე და ყოველდღიურად.
	<ul style="list-style-type: none"> – მანქანების ძრავების შეძლებისდაგვარად მინიმალურ ბრუნზე მუშაობა ან ჩაქრობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება; – სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს დანადგარების, ასევე ტუმბოების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და მონიტორინგი. დაზიანების დაფიქსირებისთანავე მოხდება სწრაფი რეაგირება და პრობლემის მოკლე ვადებში აღმოფხვრა; 	სისტემატურად
	– სატრანსპორტო საშუალებების ყველა გადაადგილება ობიექტზე და ობიექტიდან განხორციელდება მხოლოდ გრაფიკით გათვალისწინებულ ჩვეულებრივ სამუშაო საათებში. დამის საათებში მოძრაობა	განსაკუთრებით ინტენსიური

	<p>დაუშვებელია;</p> <ul style="list-style-type: none"> - ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური პერიოდის შერჩევა და სიჩქარის დაცვა: სატრანსპორტო ოპერაციები შესრულდება მხოლოდ ოფიციალურ სამუშაო დღეებში დილის 7 საათიდან 18 საათამდე, გზებზე გადაადგილებისას მაქსიმალური სიჩქარე იქნება 45 კმ / სთ; - საზოგადოებრივი გზებით სარგებლობის მაქსიმალურად შეზღუდვა, საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული მარშრუტების მოძიება-გამოყენება; 	სატრანსპორტო ოპერაციებისას
	<ul style="list-style-type: none"> - საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება და სათანადო რეაგირება (მაგალითად მუშაობის რეჟიმის და პერიოდის დაკორექტირება გვერდით მოქმედი სხვა ობიექტების მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით და ა.შ.). 	სა\ცივრების შემოსვლის შემთხვევაში უმოკლეს ვადებში
<p>ზემოქმედება ნიადაგის/ გრუნტის ხარისხსა და სტაბილურობაზე, გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები</p>	<ul style="list-style-type: none"> - საამქროს განთავსების პერიმეტრზე მოეწყობა ღორღის ფენა და იქნება ნიველირებული, ისე რომ მოხდეს სანიაღვრე წყლების სათანადო არინება და ადგილი არ ჰქონდეს ტერიტორიის დაჭაობებას ან გრუნტის ეროზიას. ამ საკითხზე დაწესდება მონიტორინგი (განსაკუთრებით წვიმიანი ამინდების შემდგომ) და საჭიროების შემთხვევაში გატარდება მაკორექტირებელი ღონისძიებები (ღორღის დამატებითი ფენის შემოტანა და ზედაპირის მოსწორება ან სხვ.); 	ექსპლუატაციაში გასვლამდე და შემდგომ პერიოდულად
	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებები და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება რეგულარულად გაყონვის საგანზე და ყველა გაყონვა დაუყოვნებლივ შეკეთდება/ ასევე გაყონვაზე შემოწმდება შემომავალი სატრანსპორტო საშუალებები და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება; - მონიტორინგი დაწესდება სალექარის ფსკერის და ფერდების ბეტონით მოპირკეთების ტექნიკურ მდგომარეობაზე და მომიჯნავე პერიმეტრზე ნიადაგის ეროზიული პროცესების განვითარებაზე (განსაკუთრებით წვიმიანი ამინდების შემდგომ) საჭიროების შემთხვევაში გატარდება მაკორექტირებელი ღონისძიებები (მაგ. ბეტონით მოპირკეთების აღდგენა, გრუნტის დატკეპნვა და სტაბილიზაცია და ა.შ.); - ობიექტზე რეგულარულად დაცული იქნება სანიტარულ-ეკოლოგიური პირობები. საწარმოო ტერიტორიაზე ნარჩენები შეგროვდება დახურულ და მარკირებულ კონტეინერებში და მოხდება მათი დროული გატანა; - სალექარიდან პერიოდულად ამოღებული ლამი გაუწყლოების შემდგომ დროულად გადატანილი იქნება ასფალტის საწარმოს ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება წარმოებაში. 	რეგულარულად
<p>ზემოქმედება გეოლოგიურ პირობებზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - დაწესდება კონტროლი შერჩეული ნაკვეთის ცალკეულ უბნებში დაჭაობების ან ეროზიის განვითარების საკითხებზე (განსაკუთრებით წვიმიანი ამინდების შემდგომ). პრობლემის დაფიქსირებისთანავე მოხდება დროული რეაგირება და გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ქმედებები (მაგ. ღორღის დამატებითი ფენის შემოტანა და ტერიტორიის ზედაპირის სათანადო ნიველირება, რომ სანიაღვრე წყლები ორგანიზებულად გაყვანილი იყოს ტერიტორიიდან; საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული უბნების აღდგენა მოხდება გრუნტის დამატებითი ფენის შემოტანის და დატკეპნის გზით). 	რეგულარულად, განსაკუთრებით წვიმიანი ამინდების შემდგომ

<p>ზემოქმედება წყლის დაბინძურების რისკები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; 	<p>საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე</p>
	<ul style="list-style-type: none"> - დაწესდება კონტროლი ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის გამართულ და ეფექტურ ექსპლუატაციაზე; 	<p>პერიოდულად</p>
	<ul style="list-style-type: none"> - ნებისმიერი სახის ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების აკრძალვა - სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება შპს „ვესტ ჯორჯია“-ს საასენიზაციო რეზერვუარები; - ნარჩენების მართვის წესების დაცვაზე სისტემატური ზედამხედველობა; - ხელმძღვანელობის მიერ გამოიყოფა პერსონალი, რომელსაც დაევალება ტერიტორიის სანიტარულ-ეკოლოგიურ მდგომარეობასა და ნარჩენების მართვაზე მეთვალყურეობა; - სალექარების გამართულობაზე მუდმივი მეთვალყურეობა. დროულად მოხდება სალექარის გასუფთავება დაგროვილი ლამისგან მისი ეფექტურობის მაქსიმალურად შენარჩუნებ ის მიზნით. ამოღებული ლამი გაუწყლოების შემდგომ გამოყენებული იქნება ასფალტის წარმოებაში. 	<p>სისტემატურად</p>
	<ul style="list-style-type: none"> - პოტენციურად დაბინძურებული სანიაღვრე წყლები ჩართული იქნება სალექარში. ძლიერი წვიმების დროს საამქროს ექსპლუატაციის რეჟიმი შეიზღუდება, რათა მაქსიმალურად დაცული იყოს სალექარის ეფექტურობა. ხანგრძლივი წვიმის შემთხვევაში საჭიროების შემთხვევაში ჩაირთვება სალექარის ბოლოში გათვალისწინებული ტუმბო, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს სალექარიდან წყლის მდინარის კალაპოტის მიმართულებით გავრცელება; 	<p>სისტემატურად, განსაკუთრებით ინტენსიური წვიმების პერიოდში</p>
	<ul style="list-style-type: none"> - წვეთსაკრები და აბსორბენტები განთავსდება ადვილად ხელმისაწვდომ ადგილას შესაძლო გაჟონვის დროს დაბინძურების პრევენციის მიზნით; 	<p>ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე</p>
	<ul style="list-style-type: none"> - შემთხვევით დაბინძურებული ტერიტორიები გასუფთავდება უმოკლეს ვადებში. დაბინძურებულ უბნებზე შეიცვლება ხრემის ფენა. 	<p>შემთხვევითი დაბინძურების შემდგომ მოკლე ვადებში</p>
<p>ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება. - ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა; - ნარჩენები რეგულარულად იქნება გატანილი სამშენებლო მოედნიდან; - სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები განთავსდება ცალ-ცალკე, შესაბამისი წარწერის მქონე კონტეინერებში; 	<p>ექსპლუატაციის დაწყებამდე და შემდგომ სისტემატურად, ნარჩენების მართვის</p>

	<ul style="list-style-type: none"> – მოხდება ნარჩენების შეძლებისდაგვარად ხელმეორედ გამოყენება; – სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას; – პერსონალის გაივლის შესაბამის ტრენინგს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. 	პროცესში
ადგილობრივი ველური ბუნების შემფოთება	<ul style="list-style-type: none"> – ადგილობრივი ველური ბუნების შემფოთების რისკის შემცირების მიზნით ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საწარმო ობიექტიდან ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნვთიერებათა ემისიების მინიმიზაციის ღონისძიებების სისტემატურ განხორციელებას – ღამის განათების სისტემის ოპტიმიზაცია. შუქის მიმართვა საწარმოს შიდა ზედაპირისკენ; – სალექარების პერიმეტრის შემოღობვა (რაიმე ბარიერების მოწყობა) ცხოველების შიგნით ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. 	სისტემატურად
ნარჩენების მართვა	– ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა;	სამუშაოების დაწყებამდე და შემდგომ მუდმივად
	– საწარმოში დანერგილი იქნას ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდის დანერგვა, რისთვისაც ობიექტი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კონტეინერებით;	სისტემატურად
ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება	– საწარმოს პერიმეტრზე, კერძოდ სამხრეთ და აღმოსავლეთ განაპირა ზოლში მოხდება ადგილობრივი სახეობის ხე-ბუჩქოვანი მცენარეების დარგვა-გახარება (იხ. გენ-გეგმა).	მოწყობის ეტაპზე და შემდგომ ექსპლუატაციის დროს
	<ul style="list-style-type: none"> – ნარჩენების სათანადო მართვა; – სასაწყობო ტერიტორიებზე ნედლეულის, მზა პროდუქციის, ასევე სალექარიდან ამოღებული ღამის ღია სასაწყობო ტერიტორიებზე განთავსება არსებული ფართობების გათვალისწინებით. არ დაიშვება სასაწყობო ტერიტორიების ფართობის შეუსაბამო რაოდენობის მასალის განთავსება, დიდი სიმაღლის გროვებად; – ღამის საათებში მიმართული სინათლის მინიმალური გამოყენება. 	სისტემატურად
ზემოქმედება ადამიანის (მოსახლეობა და მომსახურე პერსონალი) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	<ul style="list-style-type: none"> – საწარმოს მომსახურე პერსონალის საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა; უმოკლეს ვადებში – მომსახურე პერსონალის მომარაგება სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის – საშუალებებით; სისტემატურად – მომსახურე პერსონალის ტრენინგები პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე – ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების – განთავსება; – სალექარების პერიმეტრზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და შემოღობვა; 	სამუშაოების დაწყებამდე
	<ul style="list-style-type: none"> – საზოგადოებრივი გზების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანა; – მომსახურეპე რსონალის მიერ სპეცტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე სისტემატური ზედამხედველობა; 	სისტემატურად
ზემოქმედება ადგილობრივ სატრანსპორტო პირობებზე	– სატრანსპორტო გადაადგილების აქტიური მართვა პერსონალის მიერ, თუ ეს საჭიროა საზოგადოებისთვის უსაფრთხო და მოსახერხებელი გავლისთვის. განსაკუთრებით ეს შეეხება	სატრანსპორტო ოპერაციებისას

	<p>შიდასახელმწიფოებრივი გზიდან საწარმოში სატვირთო ავტომობილების შესვლა-გამოსვლის ოპერაციებს;</p> <ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ოპერაციებისთვის უპირატესობა მიენიჭება ნაკლებად მგრძობიარე პერიოდს. ნედლეულის საწარმოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირება უპირატესად მოხდება 10 სთ-დან 15 სთ-მდე შუალედში; - ნედლეულის სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვა მოხდება მისი ტევადობის შესაბამისად, იმისთვის რომ ტრანსპორტირების პროცესში ადგილი არ ჰქონდეს საზოგადოებრივი გზების დაბინძურებას ინერტული მასალებით და ამ თვალსაზრისით მინიმუმამდე დავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეფერხების ან ავარიული სიტუაციების რისკები; - შესრულდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკურ პირობები სატრანსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებით (იხ. დანართი 5) 	
--	---	--

8.4 შერბილების ღონისძიებები საქმიანობის დროებით ან ხანგრძლივად შეწყვეტის შემთხვევაში

	მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედება	შერბილების ღონისძიებები	შესრულების ვადები
საწარმოს დროებითი შეჩერება გეგმიური სარემონტო სამუშაოების გამო	გარემოს ნარჩენებით დაბინძურების რისკები; ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები; უაროფითი ვიზუალურ ლანდშაფტური ზემოქმედება	<ul style="list-style-type: none"> - საწარმოს დროებით შეჩერებასთან ან რემონტთან დაკავშირებულ ოპერატიულ გეგმის შემუშავება; - ადგილობრივ თვითმმართველობის და ყველა დაინტერესებულ პირის ინფორმირება; - ნარჩენების განთავსების ალტერნატიული გზების მოძიება; - ტერიტორიაზე უსაფრთხოების პირობების გამკაცრება, პერიმეტრზე დამატებითი ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნების განთავსება 	უმოკლეს ვადებში საწარმოს დროებითი შეჩერების გადაწყვეტილების მიღებიდან
ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია	გარემოს ნარჩენებით დაბინძურება და სხვა სახის ნეგატიური ზემოქმედებები (ემისიები, ნიადაგის დაბინძურება და სხვ); უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები; უაროფითი ვიზუალურ	<ul style="list-style-type: none"> - ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმის შემუშავება; - ადგილობრივ თვითმმართველობის და ყველა დაინტერესებულ იურიდიული პირის (მათ შორის სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს) ინფორმირება - ტერიტორიის შიდა აუდიტის ჩატარება; 	უმოკლეს ვადებში საწარმოს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეჩერების გადაწყვეტილების მიღებიდან

	ლანდშაფტური ზემოქმედება.	<ul style="list-style-type: none"> - ავარიული რისკების გამოვლენა და პრობლემის გადაწყვეტა; - ტერიტორიაზე უსფრთხოების პირობების გამკაცრება; - ტერიტორიის გარე პერიმეტრის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით უზრუნველყოფა. 	
ობიექტის ლიკვიდაცია	ნარჩენების წარმოქმნა და გარემოს დაბინძურების რისკები, ანალოგიური სახის ზემოქმედებები, რაც უკავშირდება საწარმოს მოწყობის ეტაპს.	<ul style="list-style-type: none"> - ობიექტის ლიკვიდაციის გეგმის მომზადება, რაც დეტალურად გაითვალისწინებს ყველა გარემოსდაცვით რისკებს და მათ პრევენციულ ღონისძიებებს. პროექტი შეთანხმდება ყველა დაინტერესებულ მხარესთან; - გატარდება გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები, რაც წინამდებარე გზმ-ს ანგარიშში, მოწყობის ეტაპზე გათვალისწინებული შერბილების ღონისძიებების ანალოგიურია; - ობიექტის ლიკვიდაციის შემდგომ ტერიტორიების აღდგენა და წესრიგში მოყვანა, რაც გულისხმობს ტერიტორიის საწარმოო ინფრასტრუქტურის ნარჩენებისაგან გაწმენდას და ტერიტორიაზე ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის დაგება/რეკულტივაციას. 	უმოკლეს ვადებში ობიექტის ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღებიდან

9 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

9.1 შესავალი

საქმიანობის პროცესში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებების ხასიათის და მნიშვნელოვნების შემცირების ერთერთი წინაპირობაა დაგეგმილი საქმიანობის სწორი მართვა მკაცრი მეთვალყურეობის (გარემოსდაცვითი მონიტორინგის) პირობებში.

მონიტორინგის პროგრამა აღწერს სამონიტორინგო პარამეტრებს, მონიტორინგის დროს და სიხშირეს, მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. მონიტორინგის მოცულობა დამოკიდებულია მოსალოდნელი ზემოქმედების/რისკის მნიშვნელოვნებაზე.

გარემოსდაცვითი მონიტორინგის სქემა უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების შეფასება;
- გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლების ცვლილებების მიზეზების გამოვლენა და შედეგების შეფასება;
- მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრა, როდესაც მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა ვერ ხერხდება;
- საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ხარისხსა და დინამიკაზე სისტემატური ზედამხედველობა;
- ზემოქმედების ინტენსივობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული მაჩვენებლების დადგენილი პარამეტრების გაკონტროლება;
- საქმიანობის პროცესში ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევების ან საგანგებო სიტუაციების პრევენცია და დროული გამოვლენა.

შემდგომ პარაგრაფებში მოცემულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა განსახილველი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზისთვის.

9.3 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა მოწყობის ეტაპზე

რა? (არის პარამეტრი, რომელზეც მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელზეც მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრზე მონიტორინგი?)	როდის? (მონიტორინგის სიხშირე ან ხანგრძლივობა)	ვინ? (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
1	2	3	4	5
მტვრის გავრცელება, გამონაბოლქვი	<ul style="list-style-type: none"> საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია; სატრანსპორტო მარშრუტი, განსაკუთრებით შიდა სამოედნო გრუნტის გზა 	<p>ვიზუალური დაკვირვება:</p> <ul style="list-style-type: none"> არ შეინიშნება მტვრის მნიშვნელოვანი გავრცელება; მანქანა-დანადგარები ტექნიკურად გამართულია და არ აქვთ მნიშვნელოვანი გამონაბოლქვი; 	<ul style="list-style-type: none"> მტვრის გავრცელების შემოწმება - ინტენსიური მუშაობის და სატრანსპორტო გადაადგილებების დროს, განსაკუთრებით მშრალ და ქარიან ამინდში; განსაკუთრებით სალექარის მოწყობის პროცესში, მიწის სამუშაოებისას; ტექნიკური გამართულობის შემოწმება - სამუშაო დღის დასაწყისში; 	შპს „საგზაო“
ხმაურის გავრცელება	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია;	მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი;	<ul style="list-style-type: none"> ტექნიკური გამართულობის შემოწმება - სამუშაო დღის დასაწყისში; 	შპს „საგზაო“
საინჟინრო-გეოლოგიური სტაბილურობა	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია, განსაკუთრებით განაპირა ადგილები და სალექარისთვის განსაზღვრული უბანი.	ვიზუალური დაკვირვება; უბნები სტაბილურია და ადგილი არ აქვს ეროზიას და დაჭაობებას	<ul style="list-style-type: none"> სამუშაოების მიმდინარეობისას ყოველდღიურად; განსაკუთრებით ნალექიანი პერიოდების შემდგომ; 	შპს „საგზაო“
ნიადაგის და გრუნტის ხარისხი	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია, განსაკუთრებით ტექნიკის სადგომები	ვიზუალური დაკვირვება: არ შეინიშნება ნავთობპროდუქტების დაღვრის მნიშვნელოვანი ფაქტები	ვიზუალური დაკვირვება - სამუშაო დღის ბოლოს;	შპს „საგზაო“
მცენარეული საფარი	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია,	ვიზუალური დაკვირვება: სამუშაოები მიმდინარეობს მონიშნული ზონის საზღვრებში და არ ხდება მცენარეების დამატებითი დაზიანება.	ვიზუალური დაკვირვება - სამუშაო დღის ბოლოს;	შპს „საგზაო“
ცხოველთა სამყარო, მათ შორის:	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია, ასევე მდინარის სანაპირო ზოლი	<p>ვიზუალური დაკვირვება:</p> <ul style="list-style-type: none"> სამუშაოებისთვის მონიშნული ზონის საზღვრებში არ ფიქსირდება ცხოველთა საბინადრო ადგილები (ბუდეები, სოროები და სხვ); არ ფიქსირდება ცხოველთა დაზიანება დაღუპვის ფაქტები. 	<ul style="list-style-type: none"> ვიზუალური დაკვირვება - ყოველდღიურ რეჟიმში ყოველ უბანზე სამშენებლო სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპზე და მიმდინარეობისას. 	შპს „საგზაო“

ორმოები, ტრანშები და ცხოველებისთვის სხვა საშიში უბნები	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია, განსაკუთრებით სალექარისთვის განსაზღვრული უბანი.	ვიზუალური დაკვირვება: არის თუ არა ესეთი უბნები სათანადოდ შემოსაზღვრული და რამდენად მაღალია ცხოველების დაზიანების რისკები.	ვიზუალური დაკვირვება - ყოველი სამუშაო დღის ბოლოს	შპს „საგზაო“
სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია,	<ul style="list-style-type: none"> • არ ხდება ჩამდინარე წყლების მდინარეში ჩაშვება; • სამეურნეო-ფეკალური წყლები გროვდება არსებულ საასენიზაციო ორმოში 	ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში;	შპს „საგზაო“
ნარჩენების მართვა	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული ტერიტორია, მათ შორის ნარჩენების დროებითი დასაწყობების უბნები.	<p>ვიზუალური დაკვირვება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტერიტორიაზე გამოყოფილია ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილები, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღნიშვნები; • სახიფათო ნარჩენების დასაწყობების ადგილები დაცულია გარეშე პირთა და ამინდის ზემოქმედებისგან; • ტერიტორიაზე, შესაბამის ადგილებში დგას საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი მარკირებული კონტეინერები; • ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია - არ შეინიშნება ნარჩენების მიმოფანტვა; • ადგილი არ აქვს ტერიტორიაზე ნარჩენების დიდი ხნით შენახვას. 	ვიზუალური დაკვირვება - ყოველი სამუშაო დღის ბოლოს;	შპს „საგზაო“
საზოგადოებრივ გზებზე ზემოქმედება	სამომარო გზების დერეფნები;	<p>ვიზუალური დაკვირვება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სატრანსპორტო საშუალებები გადაადგილდებიან წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით, არამგრძობიარე პერიოდებში; • ადგილი არ აქვს თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას; • დაცულია მოძრაობის სიჩქარეები. 	<ul style="list-style-type: none"> • ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციების წარმოებისას. 	შპს „საგზაო“
შრომის უსაფრთხოება, ადგილობრივი	საამქროს მოწყობისთვის შერჩეული	<p>ვიზუალური დაკვირვება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახიფათო უბნები შემოღობილია 	<ul style="list-style-type: none"> • ვიზუალური დაკვირვება - ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე; 	შპს „საგზაო“

<p>მოსახლეობის უსაფრთხოება</p>	<p>ტერიტორია,</p>	<p>და დაცულია გარეშე პირების უნებართვო მოხვედრისაგან;</p> <ul style="list-style-type: none"> • პერსონალი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; • გამოყენებული დანადგარ მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; • დაცულია ელექტრო და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება; • ტერიტორიაზე და მის პერიმეტრზე შესაბამის ადგილებში განთავსებულია გამაფრთხილებელი, ამკრძალავი და მიმთითებელი ნიშნები; 		
		<p>დაუგეგმავი კონტროლი (ინსპექტირება):</p> <ul style="list-style-type: none"> • მომსახურე პერსონალის მიერ დაცულია უსაფრთხოების წესები, გამოყენებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები 	<ul style="list-style-type: none"> • ინსპექტირება - პერიოდულად. 	<p>შპს „საგზაო“</p>
<p>არქეოლოგიური ძეგლების გვიანი აღმოჩენის ალბათობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • მიწის სამუშაოების წარმოების უბანზე 	<p>ვიზუალური დაკვირვება</p>	<ul style="list-style-type: none"> • მუდმივად მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში (სალექარის მოწყობისას) 	<p>შპს „საგზაო“</p>

9.4 გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა ექსპლუატაციის ეტაპზე

რა? (არის პარამეტრი, რომელზეც მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	სად? (არის პარამეტრი, რომელზეც მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?)	როგორ? (უნდა განხორციელდეს პარამეტრზე მონიტორინგი?)	როდის? (მონიტორინგის სიხშირე ან ხანგრძლივობა)	ვინ? (არის მონიტორინგზე პასუხისმგებელი?)
1	2	3	4	5
მტვრის გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში	საწარმოო ტერიტორია და სატრანსპორტო საშუალებების სამომრათო დერეფნები	ვიზუალური დაკვირვება: არ შეინიშნება მტვრის მნიშვნელოვანი გავრცელება;	ვიზუალური დაკვირვება - ინტენსიური სატრანსპორტო ოპერაციებისას და საამქროს მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისას	შპს „საგზაო“
	საწარმოო ტერიტორიის საზღვარზე, შემდეგ მიახლოებით კოორდინატებში: 1. X – 736576; Y – 4706151; 2. X – 736485; Y – 4706160;	გაზომვა პორტატული აპარატით	კვარტალში ერთჯერ - საამქროს მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისას	შპს „საგზაო“ (საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორის დახმარებით)
	ოფისში	ზდგ-ს ნორმების პროექტში წარმოდგენილი მონაცემებისა და წარმოებული პროდუქციის მიხედვით გაანგარიშებითი კონტროლი.	კვარტალში ერთჯერ	შპს „საგზაო“ (საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორის დახმარებით)
